სერვისი mygwp.ge

ჯივიპის აბონენტებს ქვითარში ასახული მრიცხველის პირობითი ჩვენება შეუძლიათ დააკორექტირონ მრიცხველის მიმდინარე ჩვენების დაფიქსირებით პორტალზე **mygwp.ge**

►როგორ დავაკორექტიროთ mygwp.ge პორტალის საშუალებით ქვითარში ასახული შეფასებითი დარიცხვა მრიცხველის რეალური ჩვენებით?

შეფასებითი ჩვენების დარიცხვის შემთხვევაში, ქვითართან ერთად **sms** შეტყობინების სახით გამოგეგზავნებათ პაროლი. პორტალზე **mygwp.ge** მიუთითეთ აბონენტის ნომერი, **sms პაროლი** და დააკორექტირეთ დაფიქსირებული მონაცემები - შეიყვანეთ მრიცხველის რეალურ ჩვენება.



►როდის აისახება mygwp.ge-ის საშუალებით დაკორექტირებული მრიცხველის ჩვენება?

პორტალზე დაკორექტირებული მონაცემები გადახდის სხვადასხვა სისტემაში მეორე სამუშაო დღიდან აისახება.

►როგორ ხდება წყლის საფასურის შეფასებითი დარიცხვის დაანგარიშება?

შეფასებითი მეთოდით წყლის საფასურის დაანგარიშება ხდება აბონენტის წინა სამი თვის საშუალო მოხმარების მიხედვით. პორტალზე მრიცხველის რეალური ჩვენების დაფიქსირების შემდეგ ქვითარში ასახული თანხა დაკორექტირდება.

►რა შემთხვევაში ხდება პირობითი ჩვენების დარიცხვა?

აბონენტს ერიცხება შეფასებითი ჩვენება, როდესაც შიდა მრიცხველის მონაცემების წაკითხვა ვერ ხერხდება.

mygwp.ge